საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ებ ა

KA030153324407320

№ 01-18/ო **24 / იანვარი / 2020 წ.**

ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 70-ე მუხლის პირველი პუნქტის, 74-ე მუხლის, 75-ე მუხლის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების, მე-3 მუხლის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ო“ „ჟ“ და „ფ“ ქვეპუნქტების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის, შემთხვევათა გამოვლენის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფი და ადექვატური რეაგირების, ინფორმირებისა და სიტუაციის მართვის/კოორდინაციის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ახალი კორონავირუსის შესაძლო შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის, შემთხვევათა გამოვლენის, ეპიდსიტუაციის ზოგადი მონიტორინგის, სწრაფი და ადექვატური რეაგირების, ინფორმირებისა და სიტუაციის მართვის/კოორდინაციის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში სამინისტრო) შეიქმნას საკოორდინაციო კომისია (შემდგომში კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამარ გაბუნია - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ზაზა ბოხუა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) გიორგი ჭავჭავაძე - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

დ) ეკატერინე ადამია - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ე) გვანცა გასვიანი - სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

ვ) ნათელა ხმალაძე - სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ზ) ბექა ჯაყელი - სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

თ) თინათინ ხარძიანი - სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ი) მაია ნიკოლეიშვილი - სამინისტროს ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

კ) ანა დარახველიძე - სამინისტროს ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ლ) ნინო მამალაძე - სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/ საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;

მ) ამირან გამყრელიძე - სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი, კომისიის წევრი;

ნ) ავთანდილ თალაკვაძე - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორი, კომისიის წევრი;

ო) პაატა იმნაძე - სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში, კომისიის წევრი;

პ) ხათუნა ზახაშვილი - სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ჟ) ანა კასრაძე - სსიპ ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკებზე მზადყოფნის და რეაგირების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) სილვიუ დომენტეს – ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელს საქართველოში;

ბ) თენგიზ ცერცვაძეს - სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ გენერალურ დირექტორს;

3. დაევალოს:

ა) სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს:

ა.ა) ახალი კორონავირუსის შემთხვევათა კვლევის, კლასიფიკაციის, ლაბორატორიული სინჯების აღების/ტრანსპორტირების ორგანიზება, კონტაქტების გამოვლენა და მათი კლასიფიკაცია დაბალი და მაღალი რისკის კონტაქტებად, კონტაქტებზე მეთვალყურეობის დაწესება და განხორციელების მონიტორინგი;

ა.ბ) ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების მოთხოვნების შესრულება, სხვა უწყებების საკონტაქტო ინფორმაციის ფლობა და ურთიერთგაცვლა ან ჩართულობა;

ა.გ) ახალი კორონავირუსის შესახებ მაღალი სანდოობის ინფორმაციის მოძიება შიდა მოხმარებისა და გადაწყვეტილებათა მიღებისათვის;

ა.დ) სამედიცინო დაწესებულებებში, სადაც განთავსდებიან ახალ კორონავირუსზე სავარაუდო პაციენტები, ინფექციური კონტროლის ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელება.

ბ) სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს:

ბ.ა) სამედიცინო დაწესებულებათა მზადყოფნა და ახალი კორონავირუსით შესაძლო ავადმყოფთა ან ამ დაავადებაზე საეჭვო პირთა ტრანსპორტირება შემთხვევათა მართვაზე მზადყოფნის მიზნით;

ბ.ბ) სამედიცინო დაწესებულებების უზრუნველყოფისათვის საჭირო სამედიცინო რეზერვის დაგეგმვა და გაცემის კოორდინაცია;

გ) სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს - უზრუნველყოს სრული ფინანსური მდგრადობა დაუყოვნებელი რეაგირების მიზნით;

დ) სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს - საზოგადოებისა და მედიის ჩართულობის და სწორად ინფორმირების უწყვეტი უზრუნველყოფა.

4. დაევალოთ, ამ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრულ ერთეულებს, მათ მიერ ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მუდმივ რეჟიმში კომისიისთვის.

5. კომისიის სამდივნოდ განისაზღვროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველო. კომისიის სხდომები გაიმართოს საჭიროებისამებრ.

6. სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ბაზა განისაზღვროს პრიორიტეტული მიღების დაწესებულებად და გამოვლენილი შემთხვევების რეფერალური მკურნალობა განხორციელდეს აღნიშნულ ცენტრში. ამასთანავე, მკურნალობა მუნიციპალურ დონეზე განხორციელდეს ქუთაისის, ბათუმისა და ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფოებში.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თამარ გაბუნია